

შეთანხმება

ქ. თბილისი

5 ოქტომბერი, 2017 წელი

ერთი მხრივ, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია (შემდგომში - შემსყიდველი), წარმოდგენილი ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილის (ვიცე-მერი) ლაშა აბაშიძის სახით და მეორე მხრივ, შპს „Construction Service“ (შემდგომში - მიმწოდებელი), წარმოდგენილი მისი დირექტორის გიორგი გაბუნიას სახით, ვხელმძღვანელობთ რა საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით, ვთანხმდებით შემდეგზე:

1. შეთანხმების საგანი

1. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიასა და შპს „Construction Service“-ს შორის, 2017 წლის 2 აგვისტოს დადებული სახელმწიფო შესყიდვის შესახებ N02.01/10/417 ხელშეკრულებით (ქ. თბილისში, დ. აღმაშენებლის ხეივანში, ჰიპერმარკეტ „თბილისი მოლი“-ს მიმდებარედ ქვეითა მიწისზედა რკინის კონსტრუქციის საფუძვალზე გადასასვლელის მოწყობის სამუშაოები) გათვალისწინებული სამუშაოების მიმდინარეობის პროცესში, გამოვლინდა გარკვეული ობიექტური გარემოებები (კერძოდ, 2017 წლის 1 ოქტომბრიდან 4 ოქტომბრის ჩათვლით ქალაქ თბილისში აღინიშნებოდა წვიმიანი ამინდები, რასაც ადასტურებს გარემოს ეროვნული სააგენტოს მიერ 2017 წლის 5 ოქტომბერს გაცემული ცნობა N12/1-911. სამშენებლო კომპანიას დარჩენილი ქონდა სამღებრო და ლიფტის მონტაჟის სამუშაოები, თუმცა, ზემოაღნიშნული გარემოებებიდან გამომდინარე, მიმწოდებელმა ვერ განახორციელა დასკვნითი სამუშაოები). აღნიშნულიდან გამომდინარე, მიმწოდებელმა შემსყიდველს მომართა სამუშაოების მიწოდების ვადის გადაწვევის მოთხოვნით (წერილი N10/0117276919-14; 03/10/2017), რის საფუძველზეც, ხელშეკრულების მონაწილე მხარეები - შემსყიდველი და მიმწოდებელი - ვთანხმდებით:

1. შეტანილ იქნას ცვლილება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებაში, გაიზარდოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოების დასრულების ვადა და ხელშეკრულების მე-3 მუხლის 3.1 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„3.1 სამუშაოების მიწოდების ვადა - ხელშეკრულების გაფორმებიდან 2017 წლის 8 ოქტომბრის ჩათვლით პერიოდი.“.

2. მიმწოდებელი ვალდებულია უზრუნველყოს წარმოდგენილი ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფისა და წინასწარი ანგარიშსწორების (საავანსო) საბანკო გარანტიების მოქმედების ვადის გაგრძელება 2017 წლის 7 დეკემბრის ჩათვლით, ამასთან, ვადაგაზრდილი საბანკო გარანტიები წარმოდგენილი უნდა იქნას 2017 წლის 13 ოქტომბრის ჩათვლით. საბანკო გარანტიების მიმდინარე წლის 13 ოქტომბრის ჩათვლით წარმოუდგენლობის შემთხვევაში, შემსყიდველი უფლებამოსილია შეწყვიტოს სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება. სამუშაოების 2017 წლის 13 ოქტომბრამდე დასრულების შემთხვევაში, მიმწოდებელი თავისუფლდება ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფისა და წინასწარი ანგარიშსწორების (საავანსო) საბანკო გარანტიების წარმოდგენის ვალდებულებისაგან.

საფუძველი: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კეთილმოწყობის საქალაქო სამსახურის 2017 წლის 5 ოქტომბრის N14-01172783712 წერილი.

2. შეთანხმების მოქმედების ვადა

2.1 წინამდებარე შეთანხმება მოქმედებს მასზე ხელის მოწერის დღიდან.

2.2 შეთანხმება წარმოადგენს მხარეთა შორის 2017 წლის 2 აგვისტოს დადებული სახელმწიფო შესყიდვის შესახებ N02.01/10/417 ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს და მოქმედებს მასთან ერთად.

2.3 ხელშეკრულების ყველა სხვა პირობა რჩება უცვლელი.

3. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები

შემსყიდველი:

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია
ს/კოდი: 204521794
მერის პირველი მოადგილე (ვიცე-მერი)

ლ. აბაშიძე

მიმწოდებელი:

შპს „Construction Service“
ს/კოდი: 404935647
დირექტორი

გ. გაბუნია

